ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#13

23 სექტემბერი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 11.30 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
გრიგოლ ტაბეშაძე
ფრიდონ მაჩიტაძე
მურად ბურჯანაძე
გაბრიელ ღიბრაძე
თემურ მინაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთევან კარკაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი: დიმიტრი თედოშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. კახა მსხვილიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის ვალდებულების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ.

   მომხს. დიმიტრი თედოშვილი

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.11.32.562 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 764.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

   მომხს. მირიან ფულარიანი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა: კახა მსხვილიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ განაცხადა, რომ

აღნიშნული საკითხი რთულია ვინაიდან ვერ ხერხდება თანამონაწილეობის განხორციელება მოსახლეობის მხრიდან და ვფიქრობ საკითხი უფრო დეტალურად არის შესასწავლი პრობლემურია პროექტის შედგენა ჩვენი მხრიდან ამას სჯობს თვითონ მოამზადონ პროექტი და რაც მათთვის მისაღები იქნება იმ პროექტით განხორციელდება სამუშაოები ჩვენი თანხმობით ეს საკითხი საჭიროების შესწავლას და კანონთან შესაბამისობაში მოქცევას, რაც გულისხმობს საკითხზე მუშაობის გაგრძელებას და გადავდოთ საკითხი შემდგომი შესწავლის მიზნით

კომისიის წევრი: ფრიდონი მაჩიტაძემ კითხვით მიმართა კახა მსხვილიძეს რამდენი კორპუსი გვაქვს მუნიციპალიტეტის მაშტაბით

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ უპასუხა ფრიდონ მაჩიტაძეს, რომ თუ არ ვცდები სულ ასეთი 15 კორპუსია

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ განაცხადა, რომ ეს საკითხი გადავდოთ შემდგომი დამუშავების და შესწავლის მიზნით რეგულაციები მოვაქციოთ კანონის შესაბამისობაში.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი საკითხი გადაიდოს შემდგომი დამუშავების და შესწავლის მიზნით და დასრულებისთანვე უახლოეს სხდომაზე მოხდეს საკითხის განხილვა

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი საკითხი გადაიდოს შემდგომი დამუშავების და შესწავლის მიზნით და დასრულებისთანვე უახლოეს სხდომაზე მოხდეს საკითხის განხილვა

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის ვალდებულების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა: დიმიტრი თედოშვილმა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა: დიმიტრი თედოშვილმა აღნიშნულ საკითხზე განაცხადა, იმისათვის, რომ დამკვეთ/მენაშენესათვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი გახდეს II კლასის (500,0 კვ.მ-მდე) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა/რეკონსტრუქციისათვის საჭირო დოკუმენტაციის უმოკლეს ვადაში შეთანხმება მშენებლობის ნებართვის მისაღებად განსაზღვრული სტადიების გავლის ნაცვლად, ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება შემოდის ინიციატივით, კანონით განსაზღვრული წესით დადგენილი მშენებლობის ნებართვის მიღების ნაცვლად, მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება. აღნიშნული წესის მიხედვით, ასევე, დამკვეთ მენაშენე განთავისუფლებული იქნება მშენებლობის ნებართვის მისაღებად განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. მშენებლობის დეტალური შეტყობინებისათვის თანდართული დოკუმენტაციის ნუსხა, მისი შინაარსი და მშენებლობის შეთანხმების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის

[illegible] ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუროს საკუთრების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.11.32.562 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 764.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავა